ჩემპიონის ერთი ქულა

მოსკოვი. ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონი. 9 მაისი. 17 გრადუსი. 95 000 მაყურებელი.

“სპარტაკი” (მოსკოვი) – “დინამო” (თბილისი) 1:1 (0:0)

გოლები გაიტანეს – ბ. სიჭინავამ (47) (“დინამო”) – 0:1, ჰუსაინოვმა (68) (“სპარტაკი”) - 1:1.

“სპარტაკი”: მასლაჩენკო, პეტროვი (ვარლამოვი — 9), დიკარევი, კრუტიკოვი, კორნეევი, ლოგოფეტი, იანიშევსკი, ამბარცუმიანი, რეინგოლდი, სევიდოვი, ჰუსაინოვი.

“დინამო”: კოტრიკაძე, ბ. სიჭინავა, ხურცილავა, ზეინკლიშვილი, ცხოვრებოვი, გ. სიჭინავა, იამანიძე, მეტრეველი, ბარქაია, მაისურაძე, მესხი.

მსაჯი ვ. ხოდინი, გვერდითი მსაჯები ა. გრიშინი და მ. სკვარჩევსკი (ყველა მინსკი).

დუბლიორები - 1:1.Gგოლები გაიტანეს – ხართიშვილმა (“დინამო”) და სოროკინმა (“სპარტაკი”).

გამარჯვების დღისადმი მიძღვნილი დიდი სპორტული ზეიმის ცენტრალურ ნაწილს წარმოადგენდა მოსკოვის სპარტაკელთა მატჩი სსრ კავშირის ჩემპიონთან - თბილისის ‘‘დინამოსთან’’, რომელსაც **100.000 მაყურებელი** დაესწრო.

თბილისელებმა ძალიან აქტიურად დაიწყეს თამაში. დაცვამ თავიდანვე მჭიდრო კონტროლის ქვეშ აიყვანა მოწინააღმდეგე თავდამსხმელები, ნახევარმცველებმა თამამად აიღეს თავიანთ თავზე შემტევი ფუნქციები და ‘‘სპარტაკის’’ კარი ხანგრძლივი შტურმის ქვეშ აღმოჩნდა. სულ რამდენიმე წუთის მანძილზე მეტრეველი, ბარქაია და მაისურაძე ზედიზედ აღმოჩნდნენ უაღრესად ხელსაყრელ პოზიციაში და რომ მათ მეტი სუზუსტე გამოეჩინათ გადამწყვეტ მომენტებში, მოსკოველები ვერ გადაურჩებოდნენ გოლს.

განსაკუთრებით ძლიერი იყო დინამოელთა დაწოლა მარჯვენა ფლანგიდან. განუწყვეტლივ იყო ჩაბმული თამაშში გ. სიჭინავა, რომლის მიერ წამოწყებული იერიშების ლიკვიდირებისთვის ‘‘სპარტაკის’’ დაცვას სრული დატვირთვით უხდებოდა მოქმედება. შედარებით ინერტულად გამოყურებოდა მარცხენა ფრთა. მაგრამ მე-20 წუთზე მესხს მიეცა ანგარიშის გახსნის ასპროცენტიანი შანსი, რომელიც არ იქნა გამოყენებული: მესხმა სწრაფად გადაინაცვლა ცენტრში და აქ კარის წინ რამდენიმე მეტრის დაშორებით სრულიად ღიად დარჩენილმა ბურთს ფეხი ააცილა.

სპარტაკელებს ჰქონდათ რამდენიმე სახიფათო კონტრშეტევა, მაგრამ ტაიმი მთლიანად ჩემპიონის დიდი ტერიტორიული უპირატესობით მიმდინარეობდა.

შესვენების შემდეგ პირველმა წუთებმა წარმატება მოუტანეს თბილისელებს. ერთ-ერთი იერიშისას ‘‘სპარტაკის’’ საჯარიმო მოედანზე სწრაფად შეიჭრა **ბ. სიჭინავა, მიიღო გადაცემა ბარქაიასაგან** და ზუსტად გაგზავნა ბურთი მარჯვენა კუთხეში - 1:0.

ამ პერიოდში დინამოელები კვლავინდებურად ფლობდნენ მინდორს, მაგრამ შესამჩნევი იყო, რომ თავდამსხმელები თანდათან თმობდნენ თამაშს, ხშირად კარგავდნენ ბურთს და მოპირდაპირე მცველებთან შეტაკებისას არ იჩენდნენ საკმარის ბრძოლისუნარიანობას. ფორვარდების ამ პასიურობის შედეგად

მოსკოველებს საშუალება მიეცათ მთელი თავიანთი ძალები წინ გადაესროლათ. მათ მტკიცედ აიღეს ხელთ ინიციატივა და ახლა სტუმრების კარი აღმოჩნდა ხიფათის წინაშე. რამდენიმე ძალზე ძნელი ბურთის აღება მოუხდა **კოტრიკაძეს**, მაგრამ 23-ე წუთზე იგი მაინც იძულებული შეიქნა გამოეტანა ბურთი ბადიდან. დიკარევის მიერ მოწოდებულ ბურთს ყველაზე ადრე მიუსწრო **ჰუსაინოვმა** და თავით დაამთავრა ეს უბრალო კომბინაცია.

მეტად საინტერესო მატჩი ფრედ დამთავრდა - 1:1.

გ. მასხარაშვილი, თ. ჭიჭინაძე (ჩვენი კორ.).

"ლელო", 12 მაისი, 1965 წ.

დამატებითი მონაცემები "სოვეტსკი სპორტიდან" 10.05.65